შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№41 (9.606)

24 ოქტომბერი–2 ნოემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

27 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებია

27 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებია.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება განისაზღვრება 4 წლის ვადით.

ძვირფასო ამომრჩევლებო, არჩევნების დღეს უნდა გაკეთოთ არჩევანი და აირჩიოთ საქართველოს პრეზიდენტი. ამისთვის თითოეული თქვენგანი მიიღებს ერთ ბიულეტენს.

ბიულეტენში შეტანილია პრეზიდენტობის კანდიდატების მონაცემები. ბიულეტენის შევსებისას ამომრჩეველმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ერთი ხმა აქვს და ხმაც მხოლოდ ერთ კანდიდატს უნდა მისცეს. თუ ამომრჩეველი ხმას მისცემს ერთზე მეტ კანდიდატს, ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება.

ძვირფასო ამომრჩევლებო, მოდით არჩევნებზე და დააფიქსირეთ თქვენი არჩევანი! ესთქვენი კონსტიტუციური უფლებაცაა და მოქალაქეობრივი ვალიც!

ხმის მიცემის წესი

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.

აუცილებლად იქონიეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში - დევნილის მოწმობაც).

დაუშვებელია პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის გარეშე საარჩევნო ბიულეტენის გაცემა. კენჭისყრის ოთახში შესვლამდე, სპეციალური ხელსაწყოთი შეგიმოწმებენ აღგენიშნებათ თუ არა ხელის თითზე მარკირება.

თუ არ აღგენიშნებათ, თქვენ გეძლევათ უფლება მიიღოთ კენჭისყრაში მონაწილეობა. თუ გამოვლინდა რომ უკვე ხართ მარკირებული, აგეკრძალებათ კენჭისყრაში მონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში თქვენს წინააღმდეგ გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები.

მარკირების შემოწმების პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ, თქვენ მიდიხართ იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის პირველი ასო და რეგისტრატორს წარუდგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას (ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს).

რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში თვალით უხილავი სითხით გაგიკეთებთ მარკირებას. რის შემდეგაც რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში თქვენს პირად ნომერს შეიტანს. თქვენ გადმოგეცემათ ერთი სახის საარჩევნო ბიულეტენი:

საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით დაადასტურებთ. საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას რეგისტრატორმა ხელი უნდა მოაწეროს ბიულეტენის უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და დაუსვას სპეციალური ბეჭედი; ამის შემდეგ თქვენ შედიხართ ფარული კენჭისყრის კაბინაში და გააკეთებთ თქვენს არჩევანს ბიულეტენში სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით. დაუშვებელია ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის შესვლა ფარული კენჭისყრის კაბინაში.

ბიულეტენი ისე უნდა დაკეცოთ, რომ არ ჩანდეს ვის მიეცით ხმა; დაკეცილი ბიულეტენით მიდიხართ განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად იღებთ სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებთ ბიულეტენს. აღნიშნულ კონვერტს ათავსებთ საარჩევნო ყუთში, სადაც ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება. კონვერტის საარჩევნო ყუთში ჩაგდების მერე თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ საარჩევნო უბანი.

თუ თქვენ არ შეგიძლიათ ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, უფლება გაქვთ, დახმარებისთვის მიმართოთ ნებისმიერ სხვა, თქვენთვის სასურველ პირს, გარდა კომისიის წევრებისა. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, კანდიდატისა და დამკვირვებლებისა. თუ საარჩევნო ბიულეტენი გაგიფუჭდათ, ამის შესახებ უნდა აცნობოთ კომისიის თავმჯდომარეს, რომლის დავალებით, რეგისტ რატორი ვალდებულია, შეგიცვალოთ გაფუჭებული ბიულეტენი ახლით.

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობისას შეგიძლიათ არჩევანი გააკეთოთ გადასატანი ყუთის მეშვეობით.

გახსოვდეთ:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის წარდგენის გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობა აკრძალულია;
- სხვის ნაცვლად ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერა, ბიულეტენების მიღება და ხმის მიცემა დაუშვებელია;
- არავის აქვს უფლება თქვენი თხოვნის გარეშე იმყოფებოდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან თქვენს ნაცვლად შეავსოს ბიულეტენები;
- მხოლოდ თქვენ გაქვთ უფლება საარჩევნო ბიულეტენები მოათავსოთ სპეციალურ კონვერტში, დაუშვებელია საარჩევნო კომისიის წევრის მიერ შევსებული საარჩევნო ბიულეტენების გახსნა ან კენჭისყრის ფარულობის სხვაგვარი დარღვევა;
- კენჭისყრა ფარულია; ვერავინ გაიგებს ვის მიეცით ხმა;
- საარჩევნო ბიულეტენზე რეგისტრატორმა თქვენს თვალწინ უნდა მოაწეროს ხელი და დაუსვას ბეჭედი. თუ ბიულეტენზე არ აღმოჩნდება ბეჭედი და ხელმოწერა, ასეთი ბიულეტენი ბათილად გამოცხადდება და თქვენი ხმა არ იქნება გათვალისწინებული შედეგების შეჯამებისას;
- კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების შემდეგ, თქვენ არ შეგიძლიათ იმავე ან სხვა საარჩევნო უბანში ხელახლა მიიღოთ მონაწილეობა არჩევნებში.
- აკრძალულია საარჩევნო ბიულეტენის და კონვერტის საარჩევნო უბნიდან გატანა
- აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს თქვენი ნების თავისუფალ გამოვლენას.



ფიროსმანობა მირზაანში

გვ. 3

ძლიერი სამკუთხედი ქვეყნის წინსვლისთვის ერთად იბრძოლებს

გვ. 6

ეურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 27 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

,,ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია ეს არის ის, რაც ჩვენ გვინდოდა“ - გიორგი მარგველაშვილი

კოალიცია ,,ქართული ოცნების” პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების საკითხზე ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია არის ის, რაც მათ უნდოდათ.

,,ეს არის ის, რაც ჩვენ გვინდოდა. ჩვენ ყოველთვის მომხრე ვართ, ძალიან ხშირად აქტიურადაც ვთხოვთ ჩვენს ევროპელ კოლეგებს, უაღრესად აქტიურად ჩაერთონ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, სამართლიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში. ბუნებრივია, ამ მიმართულებით ჩვენ მათი იმედი გვაქვს, რომ ისინი ყურადღებით დააკვირდებიან, განსაკუთრებით ამ არჩევნებს”- აცხადებს მარგველაშვილი.

შეგახსენებთ, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების საკითხზე, ევროპარლამენტმა რეზოლუცია გუშინ მიიღო. ევროპარლამენტი რეზოლუციაში მოუწოდებს ევროკავშირს, ვილნიუსის სამიტზე საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების ამოქმედება დაიწყოს. ასევე ცნობილია, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ მომზადებულ რეზოლუციის პროექტში ცვლილებები შევიდა ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებულ ჩანაწერში, რასაც საქართველოს პარლამენტის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის დებატები მოჰყვა. რეზოლუციის პროექტში ვანო მერაბიშვილი მოხსენიებული იყო, როგორც პოლიტპატიმარი, დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ კი - ქართული დელეგაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მერაბიშვილთან დაკავშირებული სადავო ჩანაწერი დამტკიცებულ დოკუმენტში შეცვლილია.

სოფლის ექიმების ხელფასი 700 ლარამდე გაიზრდება – დავით სერგეენკო

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, უახლოეს მომავალში სოფლის ექიმების ხელფასი, რომელიც ამჟამად 500 ლარს შეადგენს, 30%—ით გაიზრდება. ამასთან, მინისტრის თქმით, სოფლის ექიმებს აღარ მოუწევთ საკუთარი ხელფასიდან იჯარის, საკანცელარიო და კომუნალური ხარჯების გადახდა.

„დიდი ხანია დავასრულეთ გეგმა, რომელიც მოიცავს სოფლის ექიმების და რეგიონული სასწრაფო დახმარების სამსახურების ერთიან მართვის მოდელს. ამ მოდელის მიხედვით, სოფლის ექიმებს ხელფასი ექნებათ ხელფასად. ჩვენი გათვლებით, დაუყონებლივ იქნება შესაძლებელი მათი ხელფასების მინიმუმ 30%—ით გაზრდა და ის რასაც ხარჯავენ საკანცელარიო ნივთების შესაძენად, მედიკამენტებში, კომუნალურ გადასახადებში, თვითონ აღარ დახარჯავენ. ამჟამად სოფლის ექიმები წარმოადგენენ კერძო პირებს. ისინი არ არიან არცერთი სოფლის ამბულატორიის თანამშრომლები. სოფლის ამბულატორიები ცალკე, გაურკვეველი იურიდიული სტატუსის მქონე დაწესებულებებია. სოფლის ექიმები დაფინანსების ნახევარს, 50%—ს იღებენ სახელმწიფოსგან, ნახევარს კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან. ამ ხელფასის ჩარჩოებში ისინი ვალდებულები არიან, მიიღონ პაციენტები. ზოგან უწევთ იჯარის გადახდა, ზოგან კომუნალური გადასახადების, მოვლის, დასუფთავების, საკანცელარიო, მედიკამენტების ხარჯების გადახდა. ჩვენი მოდელის განხორციელების შემთხვევაში, მათ ხელფასი, რაც ახლა აქვთ, 500 ლარი დარჩება ხელფასად. აღარ დასჭირდებათ არაფრის ყიდვა, დაემატებათ 30% მინიმუმ, რომელიც ასევე ხელფასად იქნება და იქიდანაც არაფრის ყიდვა არ დასჭირდებათ და ის რაც სჭირდება სოფლის ამბულატორიის ფუნქციონირებას, ამაზე ჩვენ ვიზრუნებთ“, — განაცხადა მინისტრმა.

გენადი ონიშჩენკო დიმიტრი მედვედევის თანაშემწედ დაინიშნა

როსპოტრებნადზორის უკვე ყოფილი ხელმძღვანელი გენადი ონიშჩენკო რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის დიმიტრი მედვედევის თანაშემწედ დაინიშნა.

,,რია ნოვოსტის” ცნობით, ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრეს-მდივანმა ნატალია ტიმაკოვამ განაცხადა.

როსპოტრებნადზორის ხელმძღვანელის მოვალეობას ანა პოპოვა შეასრულებს. ამ უწყების ხელმძღვანელის კანდიდატურის შესახებ კი გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებენ.

ონიშჩენკო თანამდებობიდან უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო გათავისუფლდა.

შეგახსენებთ, რომ გენადი ონიშჩენკოს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გავრცელდა.

დევნილთა შემწეობა 45 ლარამდე გაიზრდება – დავით დარახველიძე

უახლოეს მომავალში დევნილთა შემწეობა 45 ლარამდე გაიზრდება. ასევე, მომავალ თვეში 500 მდე დევნილს უფასოდ სახცოვრებელი ბინა გადაეცემა, ამის შესახებ დევნილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ დევნილებთან შეხვედრაზე განაცხადა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა „ვერის პარკში“ მდებარე „ჭადრაკის სასახლეში“ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ბოლო თემატური შეხვედრა გამართა.

გიორგი მარგველაშვილმა დევნილებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მშვიდობიანი გეგმა გააცნო, დავით დარახველიძემ შეკრებილ საზოგადოებასთან სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა.

როგორც დავით დარახველიძემ განაცხადა, დევნილი საზოგადოება ყოველთვის აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წინა ხელისუფლება კი მათ ხმებს საარჩევნოდ იყენებდა.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, საჭიროა საქართველო ყველასათვის მიმზიდველი ქვეყანა გახდეს და რეფორმები წარმატებით განხორციელდეს. დევნილთა სოციალური პრობლემების მოგვარებაზე კი მთავრობა ეფექტურად მუშაობს: „დევნილთა საზოგადოება სამწუხაროდ ყველაზე გამოცდილი ჯგუფია ქართულ პოლიტიკაში. მათ ბევრი დაპირება და ტყუილი მოისმინეს. ჩვენს ხელისუფლებას აქვს მშვიდობიანი გეგმა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ამავდროულად ვმუშაობთ დევნილთა სოციალური პრობლემების მოგვარებაზე. თითოეული ჩვენგანის ოცნებაა ერთიან სახელმწიფოში ცხოვრება, რასაც ყველა ერთად ავისრულებთ“- განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

2012 წლის ნოემბრიდან იზოლატორებში უფლებების დარღვევის ფაქტი არ დაფიქსირებულა – ირაკლი ღარიბაშვილი

„2012 წლის ნოემბრიდან დღემდე, დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დარღვევის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა“, - ამის შესახებ შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

მინისტრის თქმით, ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, დროებითი მოთავსების იზოლატორების (დმი) საქმიანობა გამჭვირვალე გახდა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციისა და გამოვლენის მიზნით, ყველა იზოლატორის დერეფანში ვიდეოკამერები დამონტაჟდა.

„დროებითი მოთავსების იზოლატორების (დმი) საქმიანობა გახდა გამჭვირვალე. ბოლო 10 თვის განმავლობაში, მონიტორინგის მიზნით, დმი-ებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და უცხოელი უფლებადამცველების მიერ 90-ზე მეტი ვიზიტი განხორციელდა. დმი-ში არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციისა და გამოვლენის მიზნით, შემუშავდა დაკავებულთა საჩივრებზე რეაგირების ეფექტიანი სისტემა. განხორციელდა დმი-ს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. 2013 წლის 18 მარტს ფოთში და 23 აგვისტოს ზესტაფონში გაიხსნა ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორები. თბილისის დმი-ში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. დაკავებულ ქალთა უფლებების დაცვის მიზნით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში გაიზარდა ქალ თანამშრომელთა რაოდენობა“, - განაცხადა შს მინისტრმა.

სამინისტროს ინფორმაციით, გაიზარდა შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს მონიტორინგის სამმართველოს ფუნქციები და შემადგენლობა; ამოქმედდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 24 საათიანი ცხელი ხაზი - „126“.

ასევე, უწყების ინფორმაციით, პერმანენტულად ხორციელდება იზოლატორების თანამშრომელთა ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარების, ფსიქოლოგიური საჭიროებების გამოვლენისა და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების კუთხით.

სერგეენკო - C ჰეპატიტის მკურნალობა მოქალაქეებისთვის გაიაფდება

C ჰეპატიტის მკურნალობა საქართველოს მოქალაქეებისთვის გაიაფდება. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა , დავით სერგეენკომ განაცხადა, ახალი პროექტის თანახმად, პატიმრებს C ჰეპატიტის მკურნალობა უფასოდ ჩაუტარდებათ. მისივე თქმით, C ჰეპატიტის მკურნალობა რიგითი მოქალაქეებისთვისაც გაიაფდება.

ამასთან, დღეს ჯანდაცვის მინისტრმა სოფლის ექიმების ხელფასების მომატებაზეც ისაუბრა. სერგეენკოს თქმით, უკვე არსებობს პროექტი, რომლის თანახმადაც, სოფლის ექიმების ხელფასების მომატება 30 პროცენტითაა შესაძლებელი.

დედოფლისწყაროში ქარსაცავი ზოლების აღდგენის სამუშაოები მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ქარსაცავი ზოლების აღდგენის სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც რადიო „ჰერეთს“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან აცნობეს, უწყება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) პარტნიორობით და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით, ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროექტს ახორციელებს.

“დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი შერჩეულია, როგორც კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადი რაიონი. 2015 წლისათვის აქ დასრულდება 100 კმ ქარსაფარი ზოლის რეაბილიტაცია, რისთვისაც დაახლოებით 120 ათასი ნერგი დაირგვება. მიმდინარე თვის განმავლობაში 30 კმ ქარსაფარ ზოლზე უკვე დაირგო 35 ათასამდე ნერგი. ქარსაფარი ზოლები მნიშვნელოვანია სახნავ-სათესი მიწების ეროზიისაგან დასაცავად, წარმოადგენს საბინადრო გარემოს ცხოველებისთვის, ასრულებს ცხოველების სამიგრაციო დერეფნის როლს, ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებას, იცავს მოსავალს”, - აცხადებენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

ფრანგული კინოს ვარსკვლავი ფანი არდანი ქართველ ჟურნალისტებს შეხვდა

ფრანგული კინოს ვარსკვლავი ფანი არდანი თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინნში“ ქართველ ჟურნალისტებს შეხვდა.

როგორც მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, საქართველოსთან შეხვედრა მისი ოცნება იყო და მოხარულია, რომ საქართველოში იმყოფება.

„მეუბნებიან, რომ საქართველოში ვარ, მაგრამ ჯერ არ ვიცი. გუშინ ღამით ჩამოვფრინდი. ახლა გავიღვიძე და პირველი შეხვედრა თქვენთან მაქვს. არასდროს მიყვარდა ქვეყნის ტურისტულად აღმოჩენა. ის ხალხით უნდა გაიცნო, რადგან ცოცხალი ადამიანები უფრო მნიშვნელოვანნი არიან, ვიდრე ისტორიული ძეგლები. შეიძლება ბუნებაც ასეთი მნიშვნელოვანია. პირველ შეხებას ქვეყანასთან თქვენით ვიწყებ. შეიძლება კინომცოდნეებიც ხართ. ფაქტია, რომ საფრანგეთი გიყვართ, რადგან ჩემს სანახავად მოხვედით“, – აღნიშნა ფანი არდანმა.

მისი თქმით, ცნობილი ქართველი რეჟისორებიდან თენგიზ აბულაძეს, მიხეილ კატალოზოვს, ლილი იოსელიანს იცნობს. საქართველოში ჩამოსვლამდე მასზე რომანტიკური წარმოდგენა ჰქონდა.

სოფელ მირზაანში ფიროსმანობა აღინიშნა

მირზაანში ფიროსმანობა გაიმართა. ფიროსმანის სახლ-მუზეუმში დღესასწაულს ადგილობრივი ხელისუფლების წარმოამდგენლებთან ერთად ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. აქ ნახავდით ცნობილ მხატვრებს, პოეტებს, მწერლებს, მსახიობებს... ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ფიროსმანი და მისი შემოქმედება.

მთელი დღის განმავლობაში მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა. ასევე წარმოდგენილი იყო ქიზიყურ-კახური სამზარეულო, სადაც სტუმრებს შეეძლოთ დაეგემოვნებინათ ქიზიყური სამზარეულო.

მუზეუმში მისულ დამთვალიერებლებს კი შესაძლებლობა მიეცათ დაეთვალიერებინათ მხატვრის 14 ორიგინალი ნახატი. ფიროსმანობის დღესასწაულზე მოხდა მირზაანის ცნობილი გვარების წარდგინება. თითოეული მათგანი მასპინძლობდა სტუმრებს.

როგორც ყველა სტუმარი აღნიშნავდა, ეს იყო მართლაც გამორჩეული ფიროსმანობა. ამ დღეს მართლაც ზეიმობდა დიდი ნიკალას სული, რომლის არა მხოლოდ როგორც გენიალური მხატვრის აღიარება, არამედ მისი მშობლიური სოფლის და რაიონის დაფასებაც და მისი დიდი ხნის ოცნების რეალიზება მოხდა: ამ დღეს საექსპოზიციო დარბაზში დადგმული მაგიდა და სამოვარი სტუმრებს ჩაისაც სთავაზობდა და ხელოვნებაზე საუბარსაც...

ვაშლოვანის ნაკრძალს 10 ჯეირანი გადაეცემა

დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის ნაკრძალში სულ მალე 10 ჯეირანს შემოიყვანენ. როგორც დაცული ტერიტორიების საგენტოს ხელმძღვანელი რატი ჯაფარიძე აღნიშნავს, ჯეირნებს აზერბაიჯანული მხარე გადმოგვცემს და დედოფლისყაროში, სავარაუდოდ, ნოემბრის დასაწყისში შემოვა.

„ბაქოში ვიმყოფებოდი და ახლახან დავბრუნდი. 10 ჯეირანი გამზადებულია და ელოდება ტრანსპორტირებას ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე. როგორც ჩვენმა აზერბაიჯანელმა მეგობრებმა გვითხრეს, აბა თქვენ იცით, დაიცავით აზერბაიჯანელი ჯეირნები ქართველი მგლებისგანო... 10 ჯეირანი მხოლოდ დასაწყისია და უკიდურესად მნიშვნელოვანია ამ 10 ერთეულის მაქსიმალური დაცვა და მათი გამრავლებისთვის ხელის შეწყობა. ჩვენ ვგეგმავთ ახსნა-განმარტებითი საქმიანობის ფართო ფრონტის გაშლას ადგილობრივ მოსახლეობასთან, მეცხვარეებთან, მესაზღვრეებთან, სასულიერო პრიებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ეს პროგრამა იყოს წარმატებული. მხოლოდ ამის წარმატების შემდეგ იქნება შესაძლებელი ჯეირნების ახალი პარტიის შემოყვანა. ისინი 2 კვირას გაატარებენ დაცული ტერიტორიის შემოფარგლულ ზონაში, შემდეგ კი თავისუფლად გავუშვებთ," — განუცხადა „შირაქს" რატი ჯაფარიძემ.

პროექტს ფინანსურად მხარს უჭერს გერმანიის თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (BMZ) WWF გერმანიის თანადაფინანსებით. პროექტის მიზანია ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესება იორმინგეჩაურის ტრანსსასაზღვრო პრიორიტეტულ კონსერვაციულ ტერიტორიაზე ჭალის (ტუგაის) ტყის რეაბილიტაციის, დაცული ტერიტორიებისა და საძოვრების მართვის გაუმჯობესებისა და გადაშენებული ჯეირნის რეინტროდუქციის გზით.

შეგახსენებთ, „ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ჯეირნის რეინტროდუქციის პროექტი" 2009 წლიდან ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და თურქეთის გარემოს დაცვისა და სატყეო სამინისტროს ხელშეწყობით. თუმცა, გასულ წლებში თურქეთიდან შემოყვანილი ჯეირნები მალე დაავადდნენ და დაიხოცნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ხალხის განწყობის barometri

27 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებია. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მოსახლეობა რიგით მეოთხე პრეზიდენტს ირჩევს. პრეზიდენტობის კანდიდატთა რიცხვი ამ არჩევნებში უპრეცედენტოდ მაღალია. პრეზიდენტობის 23 რეგისტრირებულ კანდიდატს შორის არიან როგორც" სტაჟიანი", ასევე ახალფეხადგმული პოლიტიკოსები. თუმცა, "წონიანი" პოლიტიკოსი მათ შორის სულ რამდენიმეა. პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ამტკიცებს, რომ ხალხის მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს და, აქედან გამომდინარე, არჩევნებში გამარჯვების იმედიც.

მოსახლეობის დიდ ნაწილს უკვე ჰყავს თავისი რჩეული, ხალხის გარკვეული ნაწილი ჯერ ისევ ფიქრობს და არჩევანი არ გაუკეთებია. საზოგადოების და კონკრეტული პრეზიდენტობის კანდიდატთა მომხრეების ინტერესი კი ძალიან დიდია და არჩევნებამდე, წინასწარ, თითქმის ყველა მათგანს სურს გაიგოს ინფორმაცია მოსალოდნელი შედეგის შესახებ. სპეციალური ორგანიზაციები საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე წინასაარჩევნოდ კანდიდატთა რეიტინგს ადგენენ.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ღრმად შემოიჭრა სოციოლოგია, მეცნიერება, რომელიც პოლიტიკოსთა რეიტინგს და, აქედან გამომდინარე, ხალხის განწყობას ზომავს. თუმცა, წინასაარჩევნოდ სხვადასხვა სოციოლოგიური სამსახურის მიერ გაკეთებული კვლევა ხშირად ხდება ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის უკმაყოფილების საგანი. როგორც ამბობენ, საქართველოში დღეს დამოუკიდებელი სოციოლოგიური სამსახური არ არსებობს და ეს კვლევები რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ძალის ინტერესთა გამტარებელია. ფაქტი, რომელსაც დღეს არავის აპროტესტებს, წინასაარჩევნო რეიტინგის პირველი ადგილია- ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევის შედეგებში სახელისუფლებო კოალიციის კანდიდატი ლიდერობს. პარტიებისა და საპრეზიდენტო კანდიდატების სკეპტიციზმის საგანს წინასაარჩევნო რეიტინგში მეორე-მესამე ადგილების გადანაწილება წარმოადგენს. ბურჯანაძე და ბაქრაძე, როგორც ჩანს, არჩევნებში სწორედ მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ. ამას თავისი წინაპირობა და მიზეზიც აქვს. საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. ამ არჩევნებისთვის მზადება უკვე დაწყებულია და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ამის ერთგვარი ტესტიც იქნება.

დაგეგმილი რეფორმის შდეგად იზრდება თვითმმართველი ქალაქების რიცხვი, ანუ, იმ ქალაქების რაოდენობა, რომელსაც არჩეული მერი ეყოლება. ამდენად, თითოეული მერის ადგილს მომავალ არჩევნებში მონაწილე სუბიექტისთვის დიდი როლი ენიჭება, აღარაფერს ვამბობთ თბილისის მერზე...

ცხადი დღეს მხოლოდ ისაა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები გარდამავალი ეტაპია ხელისუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლის გზაზე, რომელიც სტარტს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ აიღებს.

ეს არჩევნები "ნაციონალური მოძრაობისთვის" ერთგვარი ბარომეტრიც იქნება- დარჩება თუ არა ეს პოლიტიკური ძალა ქართულ პოლიტიკაში და რამდენპარტიული იქნება საკრებულოები, რომელსაც მოსახლეობა ადგილზე სამართავად აირჩევს?- ამ კითხვებზე პასუხს უახლოესი მომავალი გასცემს.

ინგა შიოლაშვილი

გთავაზობთ პრეზიდენტობის კანდიდატთა სიას რიგითი ნომრების მიხედვით:

№	პრეზიდენტობის კანდიდატები	რიგითი ნომერი
1	მიხეილ სალუაშვილი	16
2	წესტან კირთაძე	12
3	შალვა ნათელაშვილი	9
4	მამუკა ჭოხონელიძე	18
5	გიორგი თარგამაძე	10
6	სერგო ჯავახიძე	3
7	გიორგი ლილუაშვილი	2
8	ლევან ჩაჩუა	11
9	ავთანდილ მარგიანი	19
10	მამუკა მელიქიშვილი	21
11	წუგზარ ავალიანი	20

№	პრეზიდენტობის კანდიდატები	რიგითი ნომერი
12	თეიმურაზ ბობოხიძე	8
13	თამაზ ბიბილური	1
14	დავით ბაქრაძე	5
15	გიორგი მარგველაშვილი	41
16	კობა დავითაშვილი	4
17	აკაკი ასათიანი	6
18	ნინო ბურჯანაძე	14
19	ნინო ჭანიშვილი	7
20	ზურაბ ხარატიშვილი	15
21	ქართლოს ღარიბაშვილი	17
22	თეიმურაზ მეავია	22
23	გიორგი ჩიხლაძე	13

ივანიშვილი იყო, არის და იქნება ქართველი ხალხის გვერდით

არჩევნები კარს მოგვადგა, ამომრჩევლის სწორ არჩევანზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ყოველი მეორე ადამიანი კი მხოლოდ ამ თემაზე საუბრითაა დაკავებული, საით გადაიხრება ქვეყნის არჩევანი?! ვკითხულობთ ერთმანეთში, სწორი და საღი აზრის ჩამოყალიბება კი ბევრს უჭირს. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე გაზეთმა „შირაქმა" ინტერვიუ ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორთან, პროფესორთან ქალბატონ ცაცა ბენაშვილთან ჩაწერა.

- ქალბატონო ცაცა, თქვენ იმ ასაკში ბრძანდებით, რომელსაც ქვეყნის სათავეში არაერთი მთავრობა გიხილავთ, რას იტყოდით დღეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე?

- მე ასე ვიტყვი, დღევანდელ სიტუაციაში, ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ეს გულისხმობს დემოკრატიული ფასეულობების დანერგვას, რომლის პირველ მონაპოვრად მიმაჩნია ის, რომ მთავრობა გახდა გულწრფელი, არ ცდილობს, რომ თავის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე სიყალბეები მოგვახვიოს ხალხს თავს.

- ტელევიზიით ვიხილეთ, რომ რუსეთის მცოცავმა ოკუპაციამ კიდევ აქეთ გადმოიწია და მათ მხარეს კიდევ სამი ქართული ოჯახის ბინა დარჩა, არადა ქართველმა ხალხმა ივანიშვილის მთავრობას ნდობა იმიტომაც გამოუცხადა, რომ სჯეროდა, ივანიშვილი მოუტანდა რუსეთთან სტაბილურობას!

- იცით მგონია, რომ ეს დროებითი პრობლემაა საზღვრების გადმოწევა და გარკვეული ჯგუფების მიერ მოწყობილი პროვოკაციაა, რაც მიმართულია იქეთ, რომ ხელი შეუშალოს ამ ორ მეზობელ სახელწიფოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას და საბოლოოდ მაინც ჩვენ არსად წასასვლელი არ გვაქვს, ისინი ჩვენი ყველაზე ახლომდგომი სახელმწიფოა და უნდა მოვაგვაროთ მათთან ურთიერთობა. რწმენა მაქვს, რომ ჩვენი მთავრობის ხელში ნამდვილად მოვაგვარებთ ამ ურთიერთობას.

- თქვენ ის პიროვნება ბრძანდებით, ვინც 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე საკუთარ თავზე გადაიტანეთ ხელმძღვანელობის უამრავი ზეწოლის ფაქტები, მათ შორის ისიც, რომ გაიძულებდნენ განსხვავებული ხედვების პედაგოგები გაგეთავისუფლებინათ სკოლიდან, მოკლედ თქვენს ზურგზე უამრავმა წნეხმა გადაიარა, რა მოხდა სინამდვილეში?

- არნახული ზეწოლა განვიცადე, რაც დღემდე გრძელდება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, ეს განპირობებული იყო პირველ რიგში იმით, რომ ჩემი ოჯახის წევრი მაშინდელ ოპოზიციაში იყო და ამის გამო იყო ჩემს სკოლაზეც ზეწოლა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა იყო სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულება და აპოლიტიკური იყო, მაინც

(გაგრძელება გვ.5)

დედოფლისწყაროში დაკომპლექტდა საუბნო-საარჩევნო კომისიები. გთავაზობთ მათ შემადგენლობას და მისამართებს:

№	უბნის №	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	7	პეტრე	მამულაშვილი	თავმჯდომარე	ოლქი
2	7	მაია	ვარდაშვილი	მოადგილე	ოლქი
3	7	ნინო	ტოკლიკიშვილი	მდივანი	ოლქი
4	7	ლია	ხატიაშვილი	წევრი	ოლქი
5	7	მაია	ჯანიაშვილი	წევრი	ოლქი
6	7	ლია	ანდრიაშვილი	წევრი	ოლქი
7	7	ილია	ზუბიაშვილი	წევრი	,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"
8	7	ირინე	ალუდიშვილი	წევრი	თავისუფალი დემოკრატები
9	7	ვასილ	რობიტაშვილი	წევრი	საქართველოს რესპუბლიკური პარტია
10	7	თამარ	ზურაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
11	7	ნინო	ჩოხელი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
12	7	ელმირა	კარაპეტიანი	წევრი	ეროვნული ფორუმი
13	7	ლალი	წიკლაური	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია

№	უბნის №	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	8	ალექსანდრე	პაპაჩაშვილი	თავმჯდომარე	ოლქი
2	8	ირმა	ბოსტოღანაშვილი	მოადგილე	ოლქი
3	8	მანანა	ჯანაშვილი	მდივანი	ოლქი
4	8	ნათია	ჯამასპიშვილი	წევრი	ოლქი
5	8	ნატალია	გოწაშვილი	წევრი	ოლქი
6	8	ლია	ჩიბუხაშვილი	წევრი	ოლქი
7	8	მიხეილ	ქევხიშვილი	წევრი	,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"
8	8	თამილა	ოზბეთელაშვილი	წევრი	თავისუფალი დემოკრატები
9	8	გივი	ნატროშვილი	წევრი	საქართველოს რესპუბლიკური პარტია
10	8	ეთერ	სიფრაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
11	8	გიორგი	ზარაფიშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
12	8	ნანი	ნატროშვილი	წევრი	ეროვნული ფორუმი
13	8	მედეია	ნატროშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია

№	უბნის №	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	9	ლილი	ბოსტაშვილი	თავმჯდომარე	ოლქი
2	9	ნანა	ჯანაშვილი	მოადგილე	ოლქი
3	9	ნინო	ჯანაშვილი	მდივანი	ოლქი
4	9	ქეთევან	უძილაური	წევრი	ოლქი
5	9	ნანა	რობაქიძე	წევრი	ოლქი
6	9	ლუიზა	ნასრაშვილი	წევრი	ოლქი
7	9	ეკატერინე	ბოსტოღანაშვილი	წევრი	,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"
8	9	ინგა	ნატროშვილი	წევრი	თავისუფალი დემოკრატები
9	9	ქეთევან	ჯავახიშვილი	წევრი	საქართველოს რესპუბლიკური პარტია
10	9	ლალი	ჯამასპიშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
11	9	წადეყდა	ლაპიაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
12	9	ხათუნა	მაძღარაშვილი	წევრი	ეროვნული ფორუმი
13	9	ნუნუ	გიგოლაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია

ივანიშვილი იყო, არის და იქნება ქართველი ხალხის გვერდით

(მეოთხე გვერდიდან)

ვაწყდებოდით ძალიან ბევრ პრობლემებს. მოკლედ ძალით გაგვაპოლიტიკოსეს მთელი სკოლა. ისე, რომ დღეს არც მერიდება ასეთი საუბრის. კერძოდ პირდაპირი მითითება იყო, რომ სამინისტროს ლიცენზირების პროცესი შეეფერხებინა ჩვენი სკოლისთვის. განათლების სამინისტრო ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩემს სკოლას უარი მოხსენებოდა ლიცენზიაზე, თანაც ისე, რომ დაუსაბუთებელ უარს მეუბნებოდნენ, თუ არა მაშინ კომისიის წევრთა საქმისადმი ნამდვილი პროფესიონალური მიდგომა, საალმზრდელო დაწესებულება „ბენაური“ ვერ მიღებდა ავტორიზაციას. ამასთან ადგილობრივი ნაციონალები, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ გაეწიათ სკოლის საწინააღმდეგო აგიტაცია, მშობლებს ვინც თავის შვილს აქ მოიყვანდა, ის საჯარო სამსახურში ვეღარ იმუშავებდა და ასე შემდეგ, იცის მთელმა დედოფლისწყარომ, რომ ნანული მასწავლებელის გამო, რომელსაც ჰქონდა თავისი განსხვავებული ხედვა პოლიტიკური ნიშნით, ამ სკოლას რა გადაატანინეს, არადა ეს ქალბატონი, დამეთანხმება მთელი რაიონი, რომ არის ამ რაიონის ერთ-ერთი ღირსეული მოქალაქე, იგი მთელი თავისი შეგნებით, მოქალაქეობრივი ვალით ჩვენი სინდისი და ნამუსია, უაღრესად დიდი ქართველი, უძლიერესი ისტორიკოსია, და ვინც ნანულის პიროვნებას, მის ყოველმხრივ სიკეთეს ვერ დაინახავს, ის მართლა ბნელ ადამიანად მიმაჩნდა და მიმაჩნია. ჩემთვის არ არსებობდა რაიმე ნიშნით ადამიანის გამორჩევა, ჩემთვის არსებობდა ადამიანის პროფესიონალიზმი და მისი ჭეშმარიტი მამულიშვილობა. სწორედ თავისუფალი აზრისა და განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების გამო მის გათავისუფლებას მთხოვდნენ, რაც არაფრით არ დავუშვი.

- დღეს ორი ადამიანიც რომ შეხვდეს ერთმანეთს საუბარს არჩევნებზე, კერძოდ კი, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა -არ წასვლის საკითხზე იწყებენ, პოლიტიკოსების და ექსპერტების დიდი ნაწილი პრემიერის პოლიტიკიდან წასვლას რატომღაც არასასურველ ინტერპრეტაციას აძლევენ. რამაც ხალხში გააჩინა შიში, შიში იმის, თუ რა იქნება მომავალში, გასაგებია, რომ ამ თემის ამ კუთხით ოპოზიცია განიხილავს და ცდილობს ამაში რაიმე მანკიერი დაგვანახოს, საზოგადოების საღად მოაზროვნე წევრები კი, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლაში ცუდს და საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ. თქვენი აზრი მინდა მოვისმინო ამასთან დაკავშირებით!

- მე მინდა ერთი რამ დაბეჯითებით ვთქვა და შევახსენო ჩემს ხალხს, რომ ივანიშვილი არც სადმე ყოფილა, არც საიდანმე მოსულა და არც არსად მიდის, ის ყოველთვის ჩვენთან იყო, არის და იქნება. სამოქალაქო სექტორში იქნება ის, საზოგადოებრივში, თუ პოლიტიკურში ერთი რამ ცხადია, ეს კაცი ყოველთვის ქართველების საკეთილდღეო სამსახურში იყო და დარჩება! ის უხდიდა ჩვენს ინტელიგენციას, ჩვენი კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს ხელფასს, ის აშენებდა შენობებს, ის ინახავდა მთავრობას, საერთოდ ყველაფერ იმას მისი ხელი ეცხო, რითაც სააკაშვილი იწონებდა თავს. დღევანდელი ჩვენი პრემიერი პოლიტიკაში გამოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკვე ყველა მიხვდა, რომ ქვეყანა უფსკრულისაკენ მიემართებოდა და მისი ავტორიტეტის გარდა ვეღარაფერი გადაარჩენდა საქართველოს. სიტუაცია იქამდე მივიდა, რომ საქმეში პატრიარქი ჩაერთო, სწორედ მისი დაჟინებული თხოვნა რომ არა, ალბათ ივანიშვილი ასე ღიად არც გამოჩნდებოდა, მაგრამ მას ესმოდა პატრიარქის თხოვნა, რომ ქართველ ერს სჭირდებოდა მისი ასეთი ნაბიჯი და სხვა გზა აღარ ჰქონდა. ის მოვიდა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, , რომ ის ჭირი მოგვეშორებინა, რასაც წინა მთავრობა ერქვა. ივანიშვილის გეგმა საქართველოს მიმართ არის მთლიანი, რომელიც გაგრძელდება საზოგადოებრივ ფორმაში, ასე რომ დარჩება, თუ არა ის პოლიტიკაში და როდის უნდა წავიდეს, ისე, რომ ქვეყნისთვის იყოს უკეთესი, ეს თავად ივანიშვილმა უკეთესად იცის. ხალხმა უბრალოდ უნდა ირწმუნოს ის, რომ თუ ის წავიდა პოლიტიკიდან, ამაში ცუდი და საგანგაშო ნამდვილად არაფერი არაა. რეალურად ის ჩვენ არ მიგვატოვებს, ის ჩვენთან იქნება, როგორც საზოგადოების რიგითი წევრი და ბევრად უფრო მეტს შეძლებს გააკეთოს თავისი ქვეყნისთვის, ვიდრე აქამდე! აი, ეს უნდა იწამოს ხალხმა, ვიდრე შეთხზული მითები მის წასვლასთან დაკავშირებით, ხალხი ძალიან ჭკვიანია, უთქმელადაც ძალიან კარგად იცის საიდან მოდის და ვისგან იმართება მოსახლეობის სრული დაბნევა და ამის გარჩევაში მე მგონი საღი აზრი თავად ჩვენს ხალხს საკმარისი გააჩნია!

- ამბობენ იმასაც, თითქოს მას ამერიკა უთითებს წავიდეს პოლიტიკიდან , მოსახლეობა კი დაბნეულია, არჩევნების წინ შიში იპყრობს, ჰგონიათ, ეს კაცი რომ პოლიტიკიდან წავიდეს, ქაოსი და განუკითხაობა დაისადგურებს!

- მინდა გავახსენო ხალხს, რა თქვა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის პირველ დღეებში, -მან მაშინვე თქვა, რომ ცოტა ხნით ვიქნები პოლიტიკაში, დავალაგებ სიტუაციას და წავალო, ახლა

რატომ ფიქრობენ, რომ ვინმემ უბრძანა მას წასვლა, გაუგებარია ჩემთვის! არ უნდა დაგვიწყდეს, რომ ამ კაცს თავისი დიდი საქმეები აქვს საკეთებელი, ის დიდძალი ქონების პატრონია ამასთან ერთად და ხომ უნდა იმ ქონებას მიხედვა?! ბოლოს და ბოლოს ერთი ფარატინა კაცია, ხომ არ უნდა შევიწიროთ არა?! რამდენსღა შეძლებს გააკეთოს?! ის აქ კიდევ ვიმეორებ პატრიარქის თხოვნით და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ ჩამოვიდა, დატოვებს თავის ძლიერ, სანდო გუნდს და წავა, ამიტომ არ უნდა ვუღალატოთ და უნდა დავუდგეთ ბოლომდე გვერდში! ერთი გზა გვაქვს არჩეული და გზას აღარ უნდა გადავუხვიოთ!

- რას გვეტყვით ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატზე და საინტერესოა თქვენი აზრი დღევანდელ საპარლამენტო უმცირესობის მიმართ.

- განსხვავებული მოსაზრებები მაქვს სხვა საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ, ნაციონალური პარტიის ბევრი წევრია ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, ბევრი ყავთ მათაც ნიჭიერი ხალხი, მით უმეტეს ესენი ის ხალხია, რომლებიც პირველები გავიდნენ საბჭოთა კავშირის მერე ევროპაში და პირველებმა იგემეს დემოკრატიის რეალური ხიბლი, მთავარია, რომ ისინი დაბრუნდნენ სწორ გზაზე, რითაც მიდიოდნენ და გააგრძელონ თავიანთი მოღვაწეობა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. ბაქრაძე დადებითი პიროვნებაა, მას ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია საქართველოსთვის, მაგრამ, რომ არ იყოს ნაციონალების გუნდიდან, რომელი გუნდის მიმართაც ხალხი აღარასოდეს შეტრიალდება კარგი გულით, მეტი შანსი ექნებოდა.

- იქნებ ჩამოაყალიბოთ ჩვენი მკითხველისთვის, რატომ უნდა მივცეთ ხმა არჩევნებზე ქართული ოცნების კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს?

- იმისთვის, რომ არ დაირღვეს წონასწორობა, არ გამრუდდეს გზა, რომ აღდგეს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ სამართლიანობა, რომ მივიღოთ მიუკერძოებელი სასამართლო, რომ არ გადავუხვიოთ ახლა იმ გზას რითაც მივდივართ, რომ მხარი დავუჭიროთ კვლავ ბიძინას პოლიტიკას, რადგან მას ეიმედება მარგველაშვილი. მარგველაშვილი არის ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი და არაფრით არ ჩამოუვარდება დანარჩენ კანდიდატებს, იგი არის ყველაზე სუფთა ადამიანი თავისი წარსულით და თავისი ქვეყნისადმი სიყვარულით, ვიდრე დანარჩენი სხვა კანდიდატები! იმიტომ უნდა მივცეთ ხმა მარგველაშვილს, რომ ეს ერთი გუნდია, ეს ერთი გზაა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს რაიონს ირაკლი გვყვავს ღარიბაშვილი, ეს არაჩვეულებრივი ახალგაზრდა, რომელმაც საოცარი სისტემა შექმნა და საოცრად უძღვება თავის საქმეს და ჩვენ, სხვა რომ არაფერი, არ გვეკადრება, რომ ირაკლის არ დავუდგეთ გვერდში!

- ქვეყნის გულშემატკივრობის კუთხით, ხშირად მოგვისმენია ეს სიტყვები, რომ ივანიშვილს ილია ჭავჭავაძეს ადარებენ, ამაზე რას იტყოდით?!

- მე დაბეჯითებით მინდა ვთქვა და ღრმად მჯერა, რომ ქართველ ხალხსაც აქვს საკმარისი ჭკუა და ამჩნევს ამას, რომ ივანიშვილი ბუნებით ქართველი კაცია, მას ილიას მსგავსად ღრმად აქვს გამჯდარი სისხლში, რომ ამ ქვეყნის „წუთისოფლის ვალი“ აკისრია, მას ილიას მსგავსად სტკივა საქართველო და ახსოვს სამშობლოს ბედ-იღბალზე ზრუნვა, მას უყვარს თავისი ჭორვილა, იქიდან არ გამოდის, მას სტივა ქართველი ერი. რამდენი მილიონერი ქართველი ვიცით, რომელებსაც სულ არ ადარდებთ ეს ქვეყანა და უფრო მეტიც დავიწყებულიც კი აქვთ, რომ ქართველნი არიან, ივანიშვილსაც შეეძლო ეცხოვრა უდარდელად, ისე, რომ სიბერემდე მის სიცოცხლეს არაფერი დამუქრებოდა, მან კი სასწორზე შეაგდო თავისი სიცოცხლე საქართველოს და ქართველი ხალხის გამო. აი, ამიტომ ადარებენ მას ილიას! ამიტომ ხედავენ მასში ერის კაცს!

- და ბოლოს, რას ეტყვით დედოფლისწყაროს საზოგადოებას?!

- ივანიშვილს ხელს უშლის ის, რომ საზოგადოებას ხშირად კარგად არ ესმის მისი ქცევის მოტივი, მე ვერ შევედრები მას, მაგრამ მე თვითონ მინდა საზოგადოებას კარგი გავუკეთო, მაგრამ ხშირად არ ესმით მათ ჩემი, ან არ უნდათ რომ გაიგონ. აი, მაგალითად, მე რომ მინდა, ერთი საგნის ფასად ისწავლონ და მიიღონ ხარისხიანი ცოდნა, ეს არ ესმის ბევრს. წარმოდგენილი მაქვს კარგად ივანიშვილის, რომელსაც ქვეყნისთვის უამრავი სიკეთე გაუკეთებია, უჭირს ხალხს გაიგოს მისი სიკეთე. ისინი უყურებენ მომავალს მხოლოდ დღევანდელი დღით, ამიტომაც ცდილობს პრემიერი აამაღლოს სამოქალაქო შეგნება, შეხვედრებს მართავს ყველა სეგმენტთან, სადაც არის სრულიად გახსნილი და უშუალო. ძნელია, ხალხს ჭკუა ასწავლო, ის თვითონ ხედავს სიმართლეს, შესაძლოა ნაკლები განათლება აქვთ, მაგრამ მათ თავისეული შეფასების უნარი მაინც გააჩნიათ, რასაც არ გადაუხვევენ. დემოკრატიის მთელი ღირებულებაც ეგ არის, ყველას თავისი აზრი აქვს და თავისი აზრის დაფიქსირების საშუალებაც უნდა ჰქონდეს, გამძლეობას ვუსურვებ ჩემს ხალხს, რწმენის სიმტკიცეს და გვჯეროდეს, რომ გაიმარჯვებს სიკეთე, უნდა მივისწრაფოდეთ სიკეთისკენ და ყველაფერი სასიკეთოდ იქნება!

ლალი მეხრიშვილი.

ხალხმა თავად იცის, მისთვის რა არის უკეთესი!

მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიმოხილვას აკეთებს დემოკრატიული მოძრაობა საქართველოს დედოფლისწყაროს შტაბის უფროსი შოთა ჯამასპიშვილიც.

- როგორ წარიმართა მთელი ამ ხნის განმავლობაში წინასაარჩევნო კამპანია თქვენი წარმომადგენლების მიერ და რა შედეგებს ელოდებით?

-საერთო სიტუაცია ასეა, ვფიქრობ, რომ ჩვენზე ზეწოლა გრძელდება, ხალხი არის შეშინებული.

- ვისგან თუ შეგიძლიათ დააკონკრეტეთ, კონკრეტულად ვისი მხრიდან მოდის ზეწოლა?

- ადგილობრივი თვითმართველობების მხრიდან მოსახლეობაზე მიდიოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში ფსიქოლოგიური ზეწოლა, კონკრეტულად ხელჩასაჭიდს ვერაფერს გეტყვით.

- ანუ თქვენ ამბობთ რომ წინასაარჩევნოდ დემოკრატიულობის პრინციპი მაინც არ იყო დაცული?

- არა, რა თქმა უნდა ნაციონალებთან შედარებაც არ არის, ბევრად გაუმჯობესებულია წინასაარჩევნო გარემო დემოკრატიულობის თვალსაზრისით, მაგრამ მაინც ვაცხადებ, რომ ფსოქოლოგიური შიშით არიან შეპყრობილი ჩვენი მხარდამჭერები.

- როგორ ფიქრობთ, რამდენად აქვს ბურჯანაძეს შანსი?

- შანსი ნამდვილად დიდი აქვს, თუმცა ეს არ ეხება დედოფლისწყაროს. დედოფლისწყაროში ყოველთვის რთული იყო სხვა ოპოზიციური პარტიის გასვლა, რადგან აქ ყოველთვის სახელისუფლებო კანდიდატი

შოთა ჯამასპიშვილი

იმარჯვებდა, ამის მაგალითია ბოლო არჩევნებიც, სადაც მაჟორიტარად სახელისუფლებო კანდიდატი გავიდა , რაც სამწუხარო ფაქტია.თუმცა ამ შემთხვევაში დედოფლისწყაროს გარდა ბურჯანაძეს სხვა რაიონებში სერიოზული შანსი აქვს.

- რა გაძლევთ ამის საფუძველს?

- ამას თვით ბურჯანაძესთან ხალხის შეხვედრებიც ცხადყოფს.

- და თუ ასე რთული სიტუაცია ჰქონდა ბურჯანაძეს დედოფლისწყაროში, მაშინ რატომ არ შეხვდა დედოფლისწყაროს ელექტორატს წინასაარჩევნოდ?!

- კი, უნდა ყოფილიყო ასეთი შეხვედრა, მაგრამ მე თავად გამიჭირდა აქტივის შეკრება, ხალხი ერიდებოდა გამოსვლას, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხალხი მზად არაა კვლავ თავისუფალი აზრის ან მხარდაჭერის გამოხატვისთვის, ამიტომ მე მოვუწოდებ ამომრჩეველს, რომ არავის აგიტაციას არ აყვნენ, 27-ში მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან და თავისი პოზიცია დააფიქსირონ, მათი თითოეული ხმა დაცული იქნება. არა მგონია ისეთი უგუნური ხალხი გვყვავდეს, რომ ვერ მიხვდეს ვისთვის რა არის უკეთესი.

ლალი მეხრიშვილი

ძლიერი სამკუთხედი ქვეყნის წინსვლისთვის ერთად იბრძოლებს

23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე თამაზაშვილი დედოფლისწყაროს მოსახლეობას შეხვდა. დეპუტატმა მოსახლეობას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოსთხოვა თავისუფალი აზრის გამოხატვა და პრობლემების მოსასმენადაც მზაობა გამოთქვა. რითაც თავიდანვე მოუხსნა მოსახლეობას აზრის გამოთქმის კომპლექსი. მოსახლეობამ ალექსანდრე თამაზაშვილს მთელი რიგი სოციალური პრობლემები გადაუშალა. მოსახლეობის ერთი ნაწილი ელექტროენერგიის ხშირ და წამიერ გათიშვებს ჩიოდა,ზოგს ქუჩაზე გარეგანათების დამონტაჟება სურდა, დაისვა კირქვის საბადოდან მძიმე სატვირთო მანქანების მათ ქუჩაზე უკანონოდ სიარულის საკითხიც, ერეკლე მეორის ქუჩის ნახევარი ქუჩის და თამარის ქუჩაზე გზების მოასფალტების საკითხიც და თქვენ წარმოიდგინეთ პურზე მაღალი ფასის და 20 წლის წინ დაკარგული ანაბრების საკითხებზეც კი პასუხებს ალექსანდრე თამაზაშვილისგან ითხოვდნენ. საუბარი შეეხო რაიონში საავადმყოფოს არსებობის აუცილებლობას და დასაქმების თემას.

მოსახლეობის მიერ წამოჭრილ თითოეულ საკითხს ალექსანდრე თამაზაშვილმა კონკრეტული პასუხები გასცა.

-„გასაგებია, რომ თქვენს მიერ წამოჭრილი ყველა საკითხი ჩვენი დღევანდელობის მწარე რეალობაა, ვიცით ისიც, რომ აშენებული ქვეყანა არ დაგვხვდა და ისიც იცით, რომ ერთ წელიწადში, ასე ერთბაშად ყველა პრობლემა ვერ მოგვარდება, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ თუ წინა წლებსი ერთად სულ 15 მილიონი თანხით დაფინანსდა ჩვენი რაიონი, მხოლოდ წელს , ერთ წელიწადში 40 მილიონის სამუშაოები შესრულდა და ხორციელდება კვლავ. თქვენს მიერ წამოჭრილი ყველა საკითხი არ მაქვს შესწავლილი და გავერკვევი, დაუშვებლად მიმაჩნია ელექტროენერგიის ხშირი გათიშვა და ამის გამოსწორება ძალიან ადვილად შეიძლება, ასევე გამოსწორებადია მძიმე სატვირთო მანქანების სწორხაზოვანი გზით სიარულის დარეგულირებაც, რაც შეეხება საავადმყოფოს, ექიმები მართლაც პატივსაცემი ხალხია, მათ წლები იმუშავეს კერძო კომპანიის ხელში ისე, რომ ხელფასიც კი არ აუღიათ, რაც სავსებით არამართებულია, ამჯერად დედოფლისწყაროს საავადმყოფო ჩვენი მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში გადმოვიდა, შემუშავებულია პროექტი და გრანტის საშუალებით უკვე გვაქვს თანამედროვე ამერიკული აპარატურაც, რომლითაც ჩვენი საავადმყოფოს აღიჭურვება, ისე, რომ ადამიანი შესაძლებლობის უქონლობის გამო აღარ შეიზღუდება და ექიმთან დროულად მისვლა აღარ გაუჭირდება.“

ცალკე შეეხო დეპუტატი სოციალურად გაჭირვებულების და აღნიშნა, -„წარმოიდგინეთ რა დამამცირებელია ადამიანისთვის იმ წოდების მინიჭება, რომ მას დაერქვას სოციალურად გაჭირვებული, თუმცა წინა ხელისუფლებამ ის გააკეთა მხოლოდ, რომ ქართველი ხალხი სოციალურად გაჭირვებულის სტატუსის მინიჭების მეოცნებე გახადა, ამაზე დიდი უბედურება არ არსებობს, თუმცა ჩვენს ხალხს წლები უწევდა ამის ატანა. ამჯერად ჩვენ გვინდა, რომ სოციალურად გაჭირვებულები კი არ მოვამრავლოთ, პირიქით, მათი რიცხვი შევამციროთ და რაც შეიძლება მეტი ეკონომიურად შეძლებული ოჯახი მივიღოთ, აი, ამისთვის ვართ მომართულები.“

-„ჩვენ აღარ გვინდა პიარზე გათვლილი ხელისუფლება, რომელიც სოციალურად გაჭირვებულ ქართველებს 30 ლარს უხდიდა გაჭირვების გამო და სამაგიეროდ მისი ბედი მის ხელში იყო და ისევ თავადვე განაგებდნენ, დათრგუნულ ხალხს თავის ნებაზე ატარებდნენ თუ, მისცემდა ის სოციალურად გაჭირვებული მათ ხმას, მისცემდნენ დახმარებას, თუ არადა მოუხსნიდნენ . დღეს, ჩვენი ხელისუფლების პირობებში აღარ იქნებით სხვის მიერ მართულნი, ჩვენ გავაკეთეთ ის, რომ დღეს ასე თავისუფლად გამოვხატავთ აზრს და ერთმანეთს ვესაუბრებით ღიად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ჩვენ გავაკეთეთ ის, რომ ყოველწლიურად მოსწავლეების მშობლებს აღარ უწევთ სასწავლო წლის დასაწყისში წიგნებში 400 ლარის გადახდა, რათა შვილი უსწავლელი არ დარჩეს, გავაკეთეთ ის, რომ წელს არცერთ მევენახეს ყურძენი არ დარჩენია ჩასაბარებელი და არ გახდომია პრობლემა თანხის აღებაზე. გავაკეთეთ ის, რომ პოლიცია ადამიანებს აღარ აშინებს და აღარ გვექნება „გაპრავებული“ არჩევნები. ბევრი რამ შეიცვალა კარგისკენ, წელს დედოფლისწყაროში თორმეტ ისეთ უბანზე დაიგო ასფალტის საფარი, სადაც არასოდეს ყოფილა ასფალტიანი გზა და არც ექნებოდათ ალბათ რომ არ მოვსულიყავით, ყველა ხედავთ, რომ რაიონის გასასვლელი გზა კეთედება, ბაღები გავხადეთ უფასო და კვება საკმაოდ გავაუმჯობესეთ საბავშვო ბაღებში, ისე, რომ თუ აქამდე 300 პატარა დადიოდა მთელი რაიონის მასშტაბით ბაღებში, ახლა გადასახადი რომ მოიხსნა და კვება გაუმჯობესდა ბავშვთა კონტიგენტი 900-მდე გაიზარდა. ეს ყველაფერი პატარა საქმე არაა და ეს ხომ თქვენც კარგად იცით:

დანარჩენს, ყველაფერს, რაც თქვენ დღეს წამოჭერით და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმაზე კიდევ უფრო დიდი საქმეებიც გვაქვს საკეთებელი მომავალში, უკვე 27 ოქტომბერს, თქვენის და ღმერთის ნებართვით თქვენი მანდატის გამოცხადების შემდეგ განვახორციელებთ, როდესაც მხარს დაუჭერთ ქართული ოცნების ერთიან კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს. მე მჯერა, რომ მხარში დაგვიდგებით და მჯერა, რომ ერთმანეთის თანადგომით ბევრს შევძლებთ. შეიქმნება ძლიერი სამკუთხედი, მთავრობა, პარლამენტი და პრეზიდენტი, რომლებიც ქვეყნის წინსვლისთვის ერთიანი ძალით იბრძოლებენ, სადაც შეცდომის დაშვებას არავინ აპატიებს სამეუულს, და ეს სულ რამდენიმე დღეში თქვენი მეშვეობით, სამართლიანი არჩევნების პირობებში მოხდება,“-განაცხადა ალექსანდრე თამაზაშვილმა და ხალხს მომავალი წლის აპრილამდე დაემშვიდობა, ეს ის თარიღი გახლავთ, როცა დეპუტატი მოსახლეობას უკვე თავისი ანგარიშით წარუდგება.

ლალი მეხრიშვილი

დედოფლისწყაროს ბაღებში ახალი სათამაშოები შევიდა

დედოფლისწყაროს ბაღის აღსაზრდელებს ამიერიდან ახალი სათამაშოები ექნებათ. მუნიციპალიტეტის 17 ბაღში მთლიანად განახლდა როგორც ინვენტარი და საოჯახო ტექნიკა, ასევე სათამაშოები ბავშვებისთვის. დედოფლისწყაროს ბაღებში სარემონტო სამუშაოები კვლავ მიმდინარეობს, მისი დასრულების შემდეგ კი ბაღების აღსაზრდელებს დამტვრეული და შელახული სათამაშოების ნაცვლად ახალი და თანამედროვე სათამაშოები „გაუღიმებენ“...

სამრეკლოდან - მსოფლიო აღიარებამდე

„დედოფლისწყაროს ორღობეში ხტუნვა-ხტუნვით მიმავალი მშვენიერი პირისახის, სპორტული აღნაგობის ყმაწვილი ხან ორღობეში დაგდებულ დიდ მორს გადააფრინდა, ხანაც კონსერვის ქილას ამოჰკრა ფეხი და სადღაც გაისროლა. მერე კი, განგების ნებით, დამშვიდდა და ნელი სვლით განაგრძო გზა. ცოტაც და, წყაროსთან შეჩერდა, წყალს თავი შეუშვირა და „შენს გამჩენ ვენაცვალეო“, კახურ კილოზე აღმოხდა. წყლის წვეთებით სავსე გრუზა თმები ბიჭმა რამდენჯერმე აქეთ-იქით გაიქნია და სოფლის გზას შეუყვა. მიდიოდა და მიღიღინებდა...

ვინ იფიქრებდა, რომ ეს მოღიღინე ბიჭი, წლების მერე იმ ცისარტყელის ხიდად იქცეოდა, ადამიანთა გულებსა და სიმღერას ერთურთს რომ უთანადებს და იდილიურ სამყაროს გვაზიარებს. ხიდი ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის, ჩაიკოვსკის, ვერდის მელოდიებით დახუნძლული. ალბათ უფალმა ინება, რომ ადგილს, სადაც ეს მალხაზი ბიჭი დაიბადა დედოფლისწყარო ჰქვია. სწორედ ამ სოფლიდან აფრენილმა ბიჭმა, წლების შემდეგ, არა თუ ერთი რომელიმე ქვეყნის, მსოფლიოს მრავალი ვარსკვლავით გაცისკროვნებული, კაშკაშა სამეფო გვირგვინი დაიდგა თავზე.

დადის ამქვეყნად სიკეთის დესპანი და თავისი ნიჭიერებით

მზის ისეთ ენერგიას აფრქვევს, რომელიც არ გწვავს. მარტოდენ უნაზესად ელამუნება სულსა თუ სხეულს და თითოეულს მოკვდავისათვის ესოდენ აუცილებელ სითბოს გვინაწილებს“ - ასე იწყება სოფელ სამრეკლოს შვილის, მსოფლიო ბარიტონის ლადო ათანელის ცხოვრების შესახებ ნოველებად გამოცემული წიგნის პირველი გვერდები.

რამდენიმე მცდელობის შემდეგ მსოფლიო მნიშვნელობის ბარიტონი, ჩემი თანამემამულე სტუდიაში სტუმრობაზე დავითანხმე. დიდხანს ვემზადებოდი და ძალიან ვღელავდი. მეფის როლების წყალობით გაცილებით მკაცრ ადამიანს ველოდი, თუმცა ინტერვიუს დაწყებამდე საათნახევარი ერთად გავატარეთ და საოცრად უშუალო აღმოჩნდა. ვამჩნევ, რომ ქიზიყელი ჟურნალისტის დანახვა მართლაც ესიამოვნა. იუმორის სიმცირესაც არ უჩივის... ბევრ რამეზე ხუმრობს, ღიმილით მეკითხება, „გინდა პოლიტიკაზე ვისაუბროთო?“, ვუდასტურებ, რომ ეს საკითხიც საინტერესო იქნებოდა და სიამოვნებით დავსვამდი კითხვებს მის შეხედულებებზე. საბოლოო ჯამში, პოლიტიკა გვერდით გადავდეთ და მხოლოდ მის შემოქმედებას და მშობლიურ რაიონთან დამოკიდებულებას შევეხეთ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კითხვის დასმა ვერ მოვახერხე, ვფიქრობ, დიალოგი მაინც საინტერესო გამოდგა, მითუმეტეს, რომ ჩვენთან ერთად მსოფლიო საოპერო მომღერლის მეუღლე მანანა ჩიქოვანი და მსახიობი გივი სიხარულიძეც იმყოფებოდნენ.

ლადო ათანელი: „ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა მოისურვა და მომცა ხმა, რომელიც დიდი განძია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. თუ არ გაქვს თავდაუზოგავი შრომა და დიდი სიყვარული შენი პროფესიისა, ისე ვერ ახვალ მაღალ საფეხურებზე. ცხადია, ჩემი გზა არ იყო იოლი. ყველაფერი უფრო ადვილად მეჩვენებოდა, ვფიქრობდი სიმღერას რა უნდა, პირს გააღებ და დამთავრდა-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. დასაწყისშივე დიდი მწვერვალები დავისახე მიზნად და ვთქვი, რომ ან ვიქნები, ან არა... ამ გზას თან ახლდა საკმაო სირთულეებიც, თუმცა, ყველაფერი რწმენით და დიდი თავდაჯერებულობით გადავლახეთ.

- ჩემთვის უცნაური აღმოჩენა იყო, რომ ბავშვობაში მუსიკალური განათლება არ მიგიღიათ, რას მივაწეროთ ეს პარადოქსული ფაქტი?

- უფროსი დაიკო მყავდა, რომელიც სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინ. ჩვენს შორის ასაკში დიდი განსხვავება არ გვქონდა და ბავშვური პაექრობა მუდმივად არსებობდა, რასაც ის მოისურვებდა, ყოველთვის მეც ის მინდოდა. მამას ის ძალიან გათამამებული ჰყავდა, რადგან პირველი შვილი იყო. როდესაც ჩემი და მუსიკალურ სკოლაში შევიდა და საფორტეპიანო ხელოვნებას ეუფლებოდა, ოჯახში სურვილი მეც გამოვთქვი და მშობლებს ვთხოვე, მეც შევეყვანე, მაგრამ მითხრეს, რომ „ეს კაცის საქმე არ იყო“ და კატეგორიული უარი მივიღე. მშობლებს უფრო წარმოვედგინე როგორც ექიმი, ინჟინერი, ან რაღაც ამდაგვარი. არამცდა არამც პიანისტი ან მომღერალი და სწორედ ამიტომ თავდაპირველად მუსიკალური განათლება არ მიმიღია. შემდეგ, უფროს ასაკში სამუსიკო სასწავლებელში მოვხვდი. მისაღები გამოცდების ჩაბარების დროს ვოკალური განყოფილების ხელმძღვანელი იყო თინა საღარაძე, რომელმაც

(გაგრძელება გვ.8)

ფიროსმანის დღე ფრანკფურტში - „დაკარგული უბრალოების ძიება“

პირველად ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველომ მნიშვნელოვანი ჯილდო მოიპოვა. გერმანიის ეროვნული ლიტერატურული პრემია ახალგაზრდულ ლიტერატურაში გადაეცათ თამთა მელაშვილსა და ნათია მიქელაძე-ბახსოლიანს რომანისთვის „გათვლა“. — ამის შესახებ 16 ოქტომბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შემაჯამებელი პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

პრესკონფერენცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელმა მედეა მეტრეველმა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის დირექტორმა ქეთევან კილურაძემ გამართეს.

ფრანკფურტის ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა სამინისტროს დელეგაციამ, მინისტრის ხელმძღვანელობით, ოფიციალური შეხვედრა გამართა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მესვეურებთან — იურგენ ბოსსა და ტობიას ვოსთან.

შეგახსენებთ, რომ წიგნის ბაზრობაზე სხვა ქართველ მწერლებთან ერთად ფიროსმანზე დაწერილი მწერალ გიორგი კაკაბაძის დოკუმენტური რომანი: „დაკარგული უბრალოების ძიება“ იყო წარმოდგენილი.

„შთაბეჭდილება, მართლაც, არაჩვეულებრივია. გრანდიოზულ გამოფენაზე სხვადასხვა ქვეყნის 11 პავილიონი იყო გახსნილი. ბაზრობის წინა დღეს, როგორც იცით, ფიროსმანის დღე ჩატარდა, სადაც ქართველი მწერლების ორი წიგნი გამოიფინა. ერთი მათაგანი ჩემი წიგნი გახლდათ. ამ წელს მასპინძელი ქვეყანა ბრაზილია იყო და მას უზარმაზარი პავილიონი ძალიან საინტერესოდ ჰქონდა წარმოდგენილი. ცნობილია, რომ 2017 წელს ფრანკფურტში მასპინძელი ქვეყანა საქართველო იქნება. ამიტომ მზადება აქედანვე უნდა დავიწყოთ, რადგან დრო ცოტა გვაქვს. აუცილებელია, რომ სათანადოდ მოვემზადოთ და გერმანიაში ღირსეულად წარვდგეთ,“ — აღნიშნა გიორგი კაკაბაძემ

ილია მარტყოფლიშვილი

მონატრება

მიხა შარმაზანაშვილი

შეუსრულებელ 37 წელს გილოცავ ჩემო ლამაზო, შვილო.

მიხა, შვილო, 21 ნოემბერს 8 წელი შეგისრულდება, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ყოველდღე გელოდებით, რომ კარს შემოაღებ და ძველებურად სიხარულს შემოიტან უშენოდ სევდით სავსე სახლში, მაგრამ ლოდინი უსაშველოა, დაუსრულებელი, უიმედო...

წახვედი და მარტო დატოვე შენი უბედური მშობლები დარდთან ერთად. კეთილი და გულიანი იყავი, ალბათ ამიტომაც წაგიყვანა ღმერთმა მთავარანგელოზობის დღეს.

ძნელია უშენობა, შვილო. ძალ-ღონეს ვიკრებ და ამ ჩემს უკუღმართ ბედს ვუმკლავდები, იმიტომ, რომ შენს საფლავს მივაქციო ყურადღება. გპირდები, სანამ მე სული მედგმება, შენც ჩემთან ერთად იარსებებ.

უბედური დედობისთვის ვყოფილვარ გაჩენილი, შვილო. შენს სურათს ვეფერები და ვეჩურჩულები. შენს სახესა და შენს სითბოს ვეძებ ობლად დარჩენილ შენს შვილებში. ნეტავ წამოგახედა და დაგანახა შენი უმამოდ გაზრდილი შვილები-თორნიკე და ლელა. თორნიკე უკვე ვაჟკაცია, შენი ნებიერა ლელა კი უკვე მეათე კლასის მოსწავლეა. ეკა ვაჟკაცურად უმკლავდება მარტოობას და ცდილობს უმამობა არ აგრძნობინოს შვილებს.

ყველას ძალიან ენატრები ჩემო მიხა, ყველას ძალიან უყვარხარ. დაბადების დღეს გილოცავთ 29 წლისად დარჩენილო, შვილო.

3 ნოემბერს შენს საფლავზე ბევრი სანთლები აინთება. სანთლებს აგინთებენ შენი მშობლები, ცოლ-შვილი, ძმა, დები, დისშვილები და ძმისშვილები. არც ბიძაშენი აკლებს შენს საფლავს ყურადღებას. ისიც აგინთებს წმინდა სანთელს, შვილო.

ჩემო მიხა, უფალს ვთხოვ დაგიმკვიდროს სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი უბედური მშობლები:
ლეილა და ლესტო შარმაზანაშვილები.

აუქციონი

სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა აცხადებს სკოლის შენობის პიროგით აუქციონს:

ა)10 კვმ. ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი: სკოლის ბუფეტის ფუნქციონირება.იჯარის ვადა სამი წელი. ფართის წლიური ღირებულება 100 ლარი.

ბ) 10 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემაზე-მიზანი: საკანცელარიო ნივთების რეალიზაცია. იჯარის ვადა ორი წელი, ფართის წლიური ღირებულება-180 ლარი.

გ)33კვ.მ. ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი: ინგლისური ენის შემსწავლელი წრის ფუნქციონირებისათვის. იჯარის ვადა 2014 წლის 1 ივლისამდე. ფართის წლიური ღირებულება 350 ლარი. პირობები: ბიჯი-ქირის 5%.

მისამართი: სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა

577243022, 593688002.

იყიდება!

იყიდება ერთოთახიანი ბინა დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩაზე. გამოდგება კომერციული ფართისთვისაც. ფასი-4000 დოლარი.

571-55-99-51; 595-97-99-01

ლალი მეხრიშვილი და ვაჟა გოგაშვილი სამძიმარს უცხადებენ ვახო სეფიაშვილს და ელენე ოგბაიძეს მამის

ჰაატა (იალო) სეფიაშვილის

გადრაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეზობლები: ბადრი ბერიკელაშვილი, ნანა ლაპიაშვილი, ცისანა მჭედლიშვილი, ვალერი ნატროშვილი, ლამარა ბაიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ელენე ოგბაიძეს და ვახტანგ სეფიაშვილს მამის

იალო სეფიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაირა გორაშვილი და გოგი პოპიაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ელენე ოგბაიძეს და ვახტანგ სეფიაშვილს მამის

იალო სეფიაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ეთერ შიუკაშვილი, გურამ დავითაშვილი, დოდო ტუსაშვილი, ეკა გიორგანაშვილი, ციცო უთრუთაშვილი, ლამარა ჯღუთაშვილი, შუქური ნასრაშვილი, ნაზო პატატიშვილი, ლამარა პოპიაშვილი, ზაზა ჭაბაშვილი, ნინო წიკლაური იუწყებიან

ნინა მეხრიშვილის

გარდაცვალებას.

სამრეკლოდან - მსოფლიო აღიარებამდე

(მეშვიდე გვერდიდან)

ჩემი მოსმენის შემდეგ წამოიყვირა, „შენ გენაცვალე ბიჭო, მაგ ყელშიო!“, ეს იყო ჩემი პირველი კომპლიმენტი.

- რამდენად რთული იყო უცხო ქვეყანაში წარმატებების მიღწევა, საკუთარი ადგილის დამკვიდრება და ადვილად მიგიღოთ თუ არა უცხო ქვეყანამ?

- რა თქმა უნდა რთული იყო, თუმცა მე ვიტყოდი, ჩემს შემთხვევაში მქონდა შესაბამისი მონაცემები. საკუთარ თავზე ძნელია ისაუბრო, თუმცა მქონდა უფლება ეს განაცხადი გამეკეთებინა. პირველივე გამოსვლები კომპლექსში ისეთი შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ ყველა კარი გაიღო... კარგ ვარსკვლავზე დაბადებული აღმოვჩნდი, მაგრამ საკმაოდ ვიყავი მომზადებული. სხვათაშორის გერმანიაში ყველაზე ობიექტური ხალხი ცხოვრობს, იქ დიდ ნიჭს აფასებენ და ეროვნებას ყურადღებას არ აქცევენ. როდესაც მათ ჩემი წარმატებები დაინახეს, ამას უამრავი პატივისცემა და დაფასება მოჰყვა. იმდენად მხარში დამიდგნენ, რომ მალევე ავტომობილი „მერსედესი“ მაჩუქეს და ამით სითბო გამოხატეს.

- მეორე ნახევარი ხშირ შემთვევაში დიდ როლს თამაშობს ადამიანის წარმატების მიღწევაში, თქვენს შემთხვევაში მეუღლეს რა როლი აქვს ლადო ათანელის მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე?

- ბედნიერი ვარ, ღმერთმა ასეთი საჩუქარი რომ მიბოძა. ნებისმიერი შემოქმედისთვის, ვინც არ უნდა იყოს, მნიშვნელოვანია ასეთი მხარდაჭერა. რომ არ მყავდეს ასეთი მეგობარი, არ ვიცი რა იქნებოდა. მან ყველაფერი პირადული გვერდით გადადო და, ალბათ ესეც უფლის ნება იყო, ჩემი ხელოვნება და საქართველოს სახე - ლადო ათანელის სახით მთელს მსოფლიოში გაეტანა. ეს მართლაც დიდი ბედნიერებაა. ვისურვებდი, რომ ყველას ისეთი ერთგული მეუღლე შეხვდეს, როგორიც მანანაა. ვერ წარმომიდგენია, რომ ნებისმიერ დიდ ხელოვანს ასეთი აქტიური მეუღლე არ ჰყავდეს გვერდით.

- დიდ დროს ატარებთ საზღვარგარეთ, როგორია თქვენი ნოსტალგია და რამდენად ხშირად ახერხებთ ჩვენს ქვეყანასა და მშობლიურ დედოფლისწყაროში ჩამოსვლას?

- ცხადია, ნოსტალგია ძალიან დიდია... სხვათაშორის, 91-93 წლებში, როცა საქართველოში ძალიან რთული პერიოდი იდგა, არსად არ წავსულვარ და მეც აქვე ჩემს ქართველებთან ერთად გავატარე. როცა დავრწმუნდი, რომ სხვა საქმის კეთება არ შემეძლო და მხოლოდ სიმღერა გამომდიოდა, ვერ დავიწყებდი ვერც ბიზნესს, ყველაფერი დაიხურა, აღარც გათბობა და ელექტროენერგია იყო, დავდექი იმ რეალობის წინაშე, რომ ჩემს კარიერას საფრთხე ემუქრებოდა. იქამდე დავრჩი საქართველოში, სანამ ღმერთმა არ ინება და 1995 წლის დასაწყისში გავემგზავრე გერმანიაში. პირველივე წარმატების შემდეგ, ძალიან დატვირთული ვიყავი და ისეთი ჯაჭვი შეიქმნა, რომ ვეღარ მოვწყდი, აღარ შემეძლო უკან დაბრუნება, ძალიან ჩავეფლე. ჩემი კარიერის გარიჟრაჟზე გერმანიაში ვგრძნობდი, რომ ეს იყო ჩემი ადგილი და განვითარების დიდი საშუალება მქონდა. საქართველოში ისევ დუხჭირი ცხოვრება და არეულობა იყო და რამდენიმე წლის შემდეგ დავბრუნდი, როცა ყველაფერი დალაგდა. თუმცა, ამჯერად გადაწყვეტილია, რომ საქართველოში ვიცხოვრებ და აქედან გავემგზავრები სამუშაოდ. საგურამოსთან ახლოს შევარჩიე ერთი კარგი ადგილი, სადაც მინდა, რომ ჩემი სახლი ავაშენო და აქ ვიცხოვრო.

იცით რა მომენატრებოდა ხოლმე? დილით როდესაც ვიღვიძებ და სამზარეულოში ჩემი ხელით მომზადებულ ყავას მივირთმევ, სულ მენატრება ჩემი კუთხის და ზოგადად, ქართული ხალხური სიმღერები „ბევრჯერ სისხლით შეგვიღეებეს მტკვარი-რიონი“ და სხვების შემოძახება. (მღერის) ცხადია, ჩვენი სამზარეულო და ქართული კერძები მენატრება.

- დედათქვენმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ სოფელში რომ ჩამოდის, ღრმად სუნთქავსო, რა გენატრებათ ხოლმე ბავშვობის წლებიდან?

- დიახ... კახეთში ჩემი რაიონი, დედოფლისწყარო ზღვის დონიდან ყველაზე მაღალზეა და აქ საოცარი ჰაერია, სულ მინდა, რომ ღრმად ვისუნთქო. ჩემი სახლის წინ ანძა და ჩვენი გორა მოჩანს, ძალიან მიყვარს აქ გადახედვა. ამ ხედს ერთხელ რომ გადავხედავ, ყველაფერი მახსენდება და ჟრუანტელი მივლის. მაშინათვე მახსენდება ამ ქუჩაზე რამდენჯერ ამივლია-ჩამივლია და, სიმართლე უნდა ითქვას, „ფიგაროსავით“ ვიყავი, მეზობლები პურზე, სიგარეტზე და ათას რამეზე მაგზავნიდნენ მაღაზიებში.

ამ ბოლო დროს ხშირად ვერ ვახერხებ დედოფლისწყაროში ჩასვლას. ეს კარგი არ არის და ჩემს თავს ხშირად ვსაყვედურობ, უფრო მეტ დროს უნდა ვუთმობდე, მაგრამ მოგეხსენებათ, ძალიან დაკავებული ვარ და... სულ მენატრება ბავშვობის წლები, დიდი გორები და ფართო ქუჩები მახსოვს, ახლა რომ ჩავდივარ, ყველაფერი დაპატარავებული მეჩვენება - ანუ, გავიზარდე!.. ქიზიყელი რომ ვარ, რა თქმა უნდა, ამით ძალიან ვამაყობ. საზღვარგარეთაც და საქართველოშიც ყველგან ვაკონკრეტებ, რომ კახელი არა - ქიზიყელი ვარ, ამას აუცილებლად ყოველთვის ხაზს ვუსვამ.

- ნოველებში ბევრი კურიოზული სიტუაცია გაქვთ აღწერილი, თქვენი ბავშვობიდან და სოფელში გატარებული წლებიდან რაიმე საინტერესო მომენტი რომ გვიამბოთ...

- ჩემს მეზობლად ერთი აღათა ბებო ცხოვრობდა, ძველით ახალი წლისთვის მათი ოჯახის მეკვლე გახლდით. მახსოვს, როდესაც პირველად მივედი, დამაყარეს ტკბილეული და ეს წელი მათთვის წარმატებული აღმოჩნდა, რის შემდეგაც სოფელში „კუჩხი ბედინერის“ არ იყოს, ჩემზეც ხმა გავრცელდა, რომ ლადოს კარგი ფეხი აქვსო და შვიდი წლის მანძილზე გაგრძელდა ჩემი მეკვლეობა, ყველა მეკვლედ მეპატიჟებოდა... ერთხელაც, აღათა ბებოს ღრმად მოხუცებული, 103 წლის მეუღლე გარდაიცვალა, რაც აღათა ბებომ მე, ანუ მეკვლეს ფეხს დააბრალა და მას შემდეგ მეკვლედ აღარავის მივუწვევივარ.

ასევე, სულ მახსენდება სოფლის ორი ტბა, სათევზაო და საცურაო... მთელი ყრმობის წლები აქ გავატარე.

„დილაადრიან ველოსიპედზე ამხედრებული და ანკესით შეიარაღებული სათევზაოდ დავდიოდი. ანკესს ჩავაგდებდი და თევზის სტუმრობას ველოდი. საღამოს, ჩემი ნადავლით ხელდამშვენებული მეზობელ სოფელში მივქროდი, სადაც რუსი სამხედროების ნაწილი იდგა. მთელი ახალგაზრდობის წლები ამ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე გავატარე. მივიდოდი თუ არა, ჩემი ასაკის ლამაზი რუსის გოგოები შემომეხვეოდნენ და მეუბნებოდნენ: „თმახუჭუჭა ქართველო, ნეტავ რა მოგვიტანე?“ მე კი ჩემს მიერ დაჭერილ თევზებს გადავცემდი, რომელიც ტაფაზე ამოყოფდნენ თავს. ცეკვის დამთავრების შემდეგ სუფრას მოვუსხდებოდით და იყო ერთი ხორხოცი და გართობა“.

წიწაკის ისტორია იყო კიდევ ძალიან საინტერესო. პატარა ბავშვი ვიყავი და ლამაზ გაშლილ სუფრას მივუჯექი. მაგიდაზე ისე მომეწონა, 2 ძალიან ლამაზი წიწაკა. ავიღე გრძელი წითელი ფერის და ხარბად ჩავკბიჩე, ნახევრად შევჭამე, შემდეგ ის დავაგდე და მეორე წიწაკა ავიღე. უცებ ისეთი ტირილი და ღრიალი ავტეხე, ხალხი ვერ მიხვდა რა დამემართა. არც ავმდგარვარ, არც ნავქცეულვარ და გაუკვირდათ რა მჭირდა. შემდეგ მზარეულმა შენიშნა, რომ წიწაკები შევჭამე. იქვე იყო ერთი მუსიკის პედაგოგი, რომელიც ჩემს ტირილს შეესწრო და მან ყველას უთხრა, რომ მიაქციეთ ამ ბავშვს ყურადღება, ამას ისეთი ხმა აქვს, დიდი მომღერალი დადგებაო. წიწაკის წყალობით ჩემი ხმის შესაძლებლობები გამოვავლინე.

- მშობლიურ რაიონში გამართული შეხვედრებიდან რა გახსენდებათ?

- პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ბავშვობის მეგობარს და თანაკლასელს თემურ გოგილაშვილს, რომელიც უშუალო ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ამ ღონისძიებების. რამდენიმე წლის წინ შევხვდი ჩემს პედაგოგებს, თანაკლასელებს. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში გამართული შემოქმედებითი საღამო მასშტაბებით ძალიან მცირე იყო, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის და საოცარი სითბო ვიგრძენი. ძალიან ემოციური იყო, ძალიან დიდი სიყვარული და მონატრებული თვალები დავინახე, რომელიც დიდ სტიმულს მაძლევს, მწვერვალების დასაპყრობად. გულწრფელად გითხრათ, მეტროპოლიტენ ოპერაში მიღწეულ წარმატებებზე მეტი სიამოვნება ჩემს სოფელში მივიღე, ამიტომ კიდევ ერთხელ მოვეფერები ჩემს დედოფლისწყაროელებს და ჩემს „ჯაფარიძელებს“.

- თქვენი პედაგოგები ამბობენ, რომ სკოლაში გამართულ შეხვედრაზე გკითხეს, ასეთი დადებითი პიროვნება რომ ხართ, უარყოფით როლებში ხშირად რატომ გამოდიხართო, რა უპასუხეთ მათ?

- რას ვიზამთ, ვარ ბარიტონი, რომელიც კომპოზიტორების მიერ ასეა დაწერილი. ყველა რომ კარგი იყოს ცხოვრება უინტერესო იქნებოდა, ასეთია რეალობა, თუ ცუდი არ ნახე, კარგი არ გამოჩნდება.

- სამომავლო გეგმების შესახებ რომ გვიამბოთ

- ბევრი სამომავლო გეგმა მაქვს. ნოემბრის დასაწყისში მივემგზავრები ქალაქ ტორინოში, სადაც საერთაშორისო დასი იკრიბება „ტოსკის“ პრემიერისთვის, სადაც სკარპიას როლს შევასრულებ. ერთკვირიანი გამოსვლის შემდეგ მივემგზავრებით ტოკიოში, ყველაზე მასშტაბურ და პოპულარულ დარბაზში, რომელსაც ჰქვია „პუნკა გაიკან“ 5 სპექტაკლით. ამ დარბაზში მე უკვე ნარვსდექი „ოტელოს“ პრემიერით. შემდეგ დავბრუნდები ბერლინში, სადაც მივიღებ მონაწილეობას „ჯოკონდაში“, ბარნაბას პარტიაში. ამის შემდეგ დაგეგმილია ისევ იტალია, ვერდის „ოტელო“.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

თამაზ ჭუჭულაშვილს!

ჩემო საყვარელო, მამა, გილოცავ დაბადების დღეს.გისურვებ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს. მინდა, დიდხანს, დიდხანს გვყავდე მე და დედას ჩვენი ხვალინდელი დღის იმედად.

შენი შვილი ნიკა ჭუჭულაშვილი.

ულოცავენ!

სპირიდონ ჯორკოშვილს!

ყველასათვის სათნო, გულისხმიერო, კეთილღიმილიანო, თქვენი და მომავალი თაობების ძვირფასო მეგობარო, დედოფლისწყაროსა და ოზაანის კოლორიტო, გილოცავთ საიუბილეო თარიღს - 85 წლისთავს.

თქვენი ცხოვრება ნამუსის ქუდით ცხოვრობდით. კაცური გზით განვლეთ ეს დიდი წლები.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს ბედნიერ სიცოცხლეს თქვენს ძვირფას შვილებთან, შვილიშვილებთან და დიდ ქართულ ტრადიციულ ოჯახთან ერთად.

თქვენდამი დიდი პატივისცემით, გივი კაისაძის ოჯახი.

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 28.10		სამშაბათი 29.10		ოთხშაბათი 30.10		ხუთშაბათი 31.10		პარასკევი 01.11		შაბათი 02.11		კვირა 03.11	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
10 °	8 °	11 °	8 °	11 °	10 °	12 °	11 °	12 °	9 °	9 °	7 °	9 °	7 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K